

# მოგესალმებით მინი აგურის მინი სამყაროში!

## წარმოგიდგენთ ინსტრუქციას „ სახლი აგურის ღობით“ მაკეტისათვის

**1-ეტაპი.** სამშენებლო მოედნის მოწყობა- მოხსენით სახურავი ყუთს, რომლითაც მიიღეთ ჩვენი პროდუქცია და მოათავსეთ სახურავი ჰორიზონტალურ მდგომარეობაში.

**2- ეტაპი.** ცემენტის მასის მომზადება - თქვენს სახლის მაკეტს მოყვება 3 მინიტომარა ცემენტი. გახსენით მხოლოდ ცემენტის 1 ტომარა, ჩაყარეთ მოსაზელ ჭურჭელში ნახევარი ტომარა ცემენტი. გაითვალისიწნეთ, რომ მოზელილი მასა არ უნდა გაგითხელდეთ, ამიტომ წყლის დასხმის დროს გამოიჩინეთ სიფრთხილე. თავიდან წყალი უნდა დაასხათ ძალიან ცოტა რაოდენობის და მოზელის (მორევის) პროცესში უნდა ამატოთ, როდესაც მიიღებთ ერთგვარ ბლანტ მასას ე.ი. ცემენტის მასა მზადაა გამოსაყენებლად. გაითვალისწინეთ ცემენტის მასა გაშრება 40-50 წუთის განმავლობაში, შრობა დამოკიდებულია ოთახის ტემპერატურაზე და ტენიანობაზე. ბლოკის (აგურის) დაშენების პროცესი ხორციელდება ჩვეულებრივი სამშენებლო წესების დაცვით, მოზელილი ცემენტის მასა უნდა დაიტანოთ ბლოკის (აგურის) ნასვრეტებიან მხარეს და მოათავსოთ ზედაპირზე. 2-3  რიგის დაშენების შემდეგ 50-60 წუთი უნდა დაელოდოთ შრობას და ამის შემდეგ გააგრძელოთ შემდეგი რიგების დაშენება. გაითვალისიწნეთ ზემოთ მოცემული დროები არ არის ცემენტის შრობის სრული დრო, ამიტომ დასრულებულ ნაგებობას გარკვეული პერიოდის (24 საათი) განმავლობაში უნდა მოეპყროთ სიფრთხილით.



**3- ეტაპი.** სახლის შენების დროს დაიცავით სურათზე მოცემული ბლოკების განლაგების სქემა მეორე რიგის დაშენების შემდეგ ფანჯარა მოათავსეთ მოცემული სურათის მიხედვით და გააგრძელეთ დარჩენილი ორი რიგის ბლოკების დალაგება



ბლოკების დალაგების შემდეგ სახურავი ააწყვეთ და მოათავსეთ შენობაზე, ქვემოთ მოცემული სურათის მიხედვით

**4-ეტაპი.** სახლის მშენებლობის დასრულების შემდეგ ღობის შენებისას დაიცავით სურათზე მოცემული აგურების განლაგების სქემა და კოლონების ამოყვანის პრინციპი.





ღობის მშენებლობის დასასრულებლად სვეტებზე დააშენეთ სვეტის სახურავი ფილები და ხის მოაჯირები ჩასვით სვეტებს შორის, მოცემული სურათის მიხედვით.



დასრულებულ შენობას უნდა ქონდეს შემდეგი სახე



## გისურვებთ წარმატებას!

დიღმის მასივი, IV კვარტალი, V კორპუსი
+995 579 000 067